


# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№6 (49) 2015


## აკადემიური აქტივობით უნივერსიტეტების რანჟირების რეიტინგის მიხედვით თსუ კავკასიის რეგიონის ლიდერია


University Ranking by Academic Performance

University Ranking by Academic Performance

This is to certify that

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

is ranked as the 1st university in Georgia

and 985th in World Ranking 2014-2015.

URAP Coordinator
Prof. Dr. Ural AKBULUT

URAP Assoc. Coordinator
Prof. Dr. Nesrin BAYKAL

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური აქტივობით უნივერსიტეტების რანჟირების (University Ranking by Academic Performance (URAP)) რეიტინგებში მსოფლიო 1000 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის მოხვდა და 985-ე ადგილი დაიკავა. შესაბამისი სერტიფიკატი უნივერსიტეტმა საორგანიზაციო კომიტეტისგან მიიღო. რეიტინგების მიხედვით, ცალკეულ კვლევით მიმართულებებში თსუ კიდევ უფრო შთამბეჭდავ შედეგს აჩვენებს. ფიზიკური მეცნიერებების მიმართულებით თსუ 175-ე ადგილზეა, ხოლო მათემატიკურ მეცნიერებებში 387-ე ადგილზე. URAP-ის რეიტინგებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოდან ერთადერთი და კავკასიაში ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. ამავე მონაცემების თანახმად, მსოფლიოს 23887 უნივერსიტეტს შორის თსუ საუკეთესო 5%-ში, ხოლო ევროპის 4000 უნივერსიტეტიდან საუკეთესო – 10%-შია. ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით უნივერსიტეტებს შორის თსუ იკავებს მეშვიდე პოზიციას ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტარტუს, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო, ვილნიუსის, ნოვოსიბირსკის სახელმწიფო და მოსკოვის საინჟინრო ფიზიკის უნივერსიტეტების შემდეგ.


*გაგრძელება მე-3 გვ.*


## „ჩვენი მომავლის ისტორია: ჩვენი საფრთხეები, ჩვენი იმედები, ჩვენი ცხოვრება“ – ესე, რომელშიც თსუ სტუდენტმა გაიმარჯვა



*„მეცხრე კლასში დაგვავალეს, დაგვეწერა თემა „ჩემი ოცნების ქალაქი“. მახსოვს, მაშინ ღრმად შევიჭერი მითოსში, ვოცნებობდი ლეგენდერული კოლხეთის მსგავსს ქალაქზე, სადაც თაფლისა და ღვინის მდინარეები მოდიოდა, თეთრი კოშკები იდგა და ეტლებით დადიოდა ხალხი ქუჩაში, ლამაზი სამოსით. ახლა ვიცი, რომ მითოსი არ ამართლებს, პირიქით, ღრმა ლეთარგიაში მივყავართ, საიდანაც გამოსვლა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო რთულდება. ქიმერები რეალობად იქცევა, დრო გადის და წლების წინ გამოგონილი ცრუ ჭორები წარსულიდან შემორჩენილ სანდო ამბებად გვექცევა, სხვისი ავადმყოფური ფანტაზიები – სანდო „სასწაულებად“ და ვცხოვრობთ ასე, დროში და სივრცეში დაკარგულები“ – ასე იწყება თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტის ლილე ყაზაიშვილის ესე, რომელმაც EBRD-ის მიერ, კავკასიის რეგიონში ორგანიზებულ სტუდენტური ესეების კონკურსში – „ჩვენი მომავლის ისტორია: ჩვენი საფრთხეები, ჩვენი იმედები, ჩვენი ცხოვრება“ გაიმარჯვა. დაჯილდოების ცერემონია 15 მაისს, EBRD-ს ბიზნეს ფორუმის ფარგლებში ორგანიზებულ ყოველწლიურ შეხვედრაზე, პარლამენტში გაიმართა.*


*გაგრძელება მე-3 გვ.*


## კარიერული განვითარების ცენტრი თსუ-ში

*„ხშირად მეკითხებიან, თუ რამდენი ადამიანი დავასაქმე. არადა ჩვენი ცენტრის პირდაპირი ფუნქცია სტუდენტთა ვაკანსიებზე გადამისამართება და დასაქმება კი არა, მათი დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარებაში დახმარება და ზოგადად – დასაქმების ხელშეწყობაა. ცხადია, არავის არაფერს ვპირდებით, რადგან დამოკიდებულები ვართ შრომის ბაზრის მოთხოვნაზე. ცენტრი სტუდენტს სააპლიკაციო დოკუმენტაციის მომზადებაში, თვითპრეზენტაციის უნარების განვითარებაში ეხმარება. ხელს უწყობს, გახდნენ უფრო მეტად კონკურენტუნარიანები, რაც თავის მხრივ დასაქმების მეტ შანსს იძლევა. შესაძლოა, ადამიანი კარგი პროფესიონალი იყოს, მაგრამ ამავე დროს საკუთარი თავის წარდგენა არ შეეძლოს, ჩვენ ასეთი პრობლემების მოგვარებაშიც ვეხმარებით სტუდენტებს“, – აცხადებს თსუ სტუდენტთა კარიერული ცენტრის ხელმძღვანელი ხათუნა ცხადაძე.*

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილმა კარიერული განვითარების ცენტრმა ოფიციალურად ფუნქციონირება 2014 წლის ივნისიდან დაიწყო. ცენტრი ტემპუსის პროექტის (CASEDE) ფარგლებში ამოქმედდა. პროექტის ხელმძღვანელი იყო ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა). მასში ჩართული იყო ასევე ესექსის (დიდი ბრიტანეთი) და კორნივსუსის (უნგრეთი) უნივერსიტეტები. თსუ-ის გარდა ეს პროექტი საქართველოს უნივერსიტეტში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ახალციხის, ზუგდიდის, თელავის და ბათუმის უნივერსიტეტებში განხორციელდა.

თსუ საკარიერო ცენტრის დახმარებით უნივერსიტეტის სტუდენტს შეუძლია გაარკვიოს, როგორ ან სად უნდა ეძებოს სამსახური საქართველოში, კონკრეტულად რა ეტაპები უნდა განვლოს სამომავლოდ მისთვის სასურველ სფეროში და პოზიციაზე დასასაქმებლად. როგორც ხათუნა ცხადაძე მიიჩნევს, ეს იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელში, კონკრეტულ სპეციალობაზე ახლობელთა რჩევითა და გავლენით უფრო აბარებს, ვიდრე საკუთარი, გააზრებული გადაწყვეტილების გამო. ბევრი უბრალოდ შემთხვევით ხვდება ამა თუ იმ მიმართულებაზე და აგრძელებს იქ სწავლას.

„იმისათვის, რომ თსუ-ს სტუდენტი კონკურენტუნარიანი გახდეს შრომის ბაზარზე, კარიერული განვითარების ცენტრი სპეციალურ


*გაგრძელება მე-2 გვ.*


## სტუდენტური შემეცნებითი პროექტი „თაობა L” – მათთვის, ვისაც წიგნების კითხვა უყვართ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური შემეცნებითი პროექტი „თაობა L” მიმდინარეობს. პროექტში ჩართვა უნივერსიტეტის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს შეეძლოთ. კონკურსში საერთო ჯამში 1000-მდე სტუდენტი დარეგისტრირდა, რომლებმაც ეტაპობრივად ოთხი ტურის წიგნები წაიკითხეს და ტესტები დაწერეს. ყველა სტუდენტს, რომელიც გვიან ჩაერთო კონკურსში, შესაძლებლობა ჰქონდა აღედგინა გაცდენილი ტესტები მეოთხე ტურის ჩათვლით, მეხუთე ტურიდან მონაწილეთა რაოდენობაზე ლიმიტების დაწესება დაიწყება. გამოვლინდება 10 ფინალისტი (ქულების დამთხვევის შემთხვევაში იმდენივე მონაწილე, რამდენიც იქნება რეიტინგის სათავეში), ფინალურ ტურზე ყველა ფინალისტის ქულა განულდება და თანაბარ პირობებში გაიმარჯვებს საუკეთესო კონკურსანტი, რომელიც მთავარ პრიზს – 1000 ლარს მიიღებს.

კონკურსის ყველა ეტაპზე ვლინდება ტურის ლიდერი – ყველაზე მაღალი ქულის მფლობელი მონაწილე, რომელმაც ამასთანავე ტესტი ყველაზე სწრაფად დაწერა. ტურის ლიდერს სერტიფიკატი, უნივერსიტეტისა და გამომცემლობა „პალიტრა L”-ის სამახსოვრო საჩუქრები გადაეცემა. ტურიდან ტურამდე კონკურსის ფეისბუკის გვერდზე კი ონლაინ ვიქტორინა მიმდინარეობს, რომლის გამარჯვებულიც დამატებით 2 ქულას და ასევე სამახსოვრო საჩუქრებს იღებს.

პროექტის მიზანია ახალგაზრდების წიგნიერების ხელშეწყობა და კონკურსის ფორმით სტუდენტებისთვის მეტი მხატვრული ლიტერატურის შეთავაზება. კონკურსი ივნისის ბოლოს დასრულდება. კონკურსის შარშანდელი გამარჯვებული ანანო ასპანიძე დღეს პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორია. იგი ასე აღწერს საკუთარ გამოცდილებას:

„პროექტის შესახებ მეგობრის მეშვეობით გავიგე – რეგისტრაციის ლინკი გამომიგზავნა. წიგნები თავდავიწყებით მიყვარს, ამიტომ, პროექტში გამარჯვებამ განსაკუთრებით გამახარა. წელს თორნიკე აბაშიძესთან და მარი გელაშვილთან ერთად პროექტის ორგანიზატორი ვარ. მე და მარი შარშანდელი „სეზონის“ მონაწილეები ვართ და ვცდილობთ, ისეთი კითხვები შევადგინოთ, რომელთა ტესტში აღმოჩენა ჩვენ, როგორც პროექტის მონაწილეებს, მოგ-


*გაგრძელება მე-4 გვ.*


## „ნაწერები რჩება“ – თსუ-ში წიგნის მაღაზია SCRIPTA MANENT გაიხსნება





გვ. 3


## „შემოდგომის ლეგენდა 2014“-ის წიგნის პრეზენტაცია



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „შემოდგომის ლეგენდა 2014“ წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეო-


გვ. 4


## ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტი და თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი ატარებს ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლას „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ – 8“. სკოლა გაიმართება 2015 წლის 15-25 ივნისს.


გვ. 3


## მსოფლიოში უნიკალური ფორმის სტალაქტიტებს თსუ მეცნიერები შეისწავლიან




გვ. 2


## ვიქტორინა 2014-2015 წლები




გვ. 4

## ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წარმომადგენლები თსუ-ში



13 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წარმომადგენლები ესტუმრნენ. EBRD-ის წლიური შეხვედრის (თბილისი) ფარგლებში, ბანკის წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებს შეხვდნენ. ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა დაესწრო.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს ბანკში დასაქმების შესაძლებლობებზე მიაწოდეს ინფორმაცია, გააცნეს საკუთარი გამოცდილება, კარიერული გზა, ისაუბრეს სამომავლო პერსპექტივებზე.

EBRD-ის წარმომადგენელთა სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ეკონომიკის და ბიზნესის მიმართულებების, აგრეთვე, მომიჯნავე სპეციალობების ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ვისთვისაც EBRD, როგორც დამსაქმებელი, საინტერესოა.

16 მაისს EBRD-ის წარმომადგენლები უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს შეხვდნენ.

## მსოფლიოში უნიკალური ფორმის სტალაქტიტებს თსუ მეცნიერები შეისწავლიან



*მსოფლიოში უნიკალური ფორმის სტალაქტიტებს თსუ მეცნიერები შეისწავლიან*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგები რაჭაში, ნაქერალას უღელტეხილზე არსებული უიშვიათესი მონაცემების მქონე კარსტული მღვიმის შესწავლას იწყებენ.

ნაქერალას უღელტეხილზე რამდენიმე წლის წინ აღმოჩენილ მღვიმეში (მურადის მღვიმე) მთამსვლელთა და მოგზაურთა ჯგუფ „თეთნულდის“ წევრებმა უნიკალურ ნაღვენთ ფორმებს მიაკვლია. მღვიმეში არსებული მსოფლიოში უიშვიათესი ნაღვენთი ფორმები – სტალაქტიტები მსოფლიო მეცნიერთა სერიოზული შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს. აღნიშნული ფორმის სტალაქტიტების წარმოქმნის მექანიზმის დადგენა, მათი შემადგენლობის, მათზე წყლის, ჰაერის მასების, მიკროორგანიზმების ზემოქმედების სამეცნიერო კვლევა მსოფლიო დონის სპელეოლოგთა დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

მღვიმის სამეცნიერო შესწავლა და მისი უნიკალურობის პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს სპელეოლოგიური მეცნიერების, აგრეთვე, სპელეო და ექსტრემალური ტურიზმის განვითარებას.

თსუ დოქტორანტის, საქართველოს სპელეოლოგიური საზოგადოების წევრის ლაშა ასანიძის განცხადებით, აუცილებელია ამ მღვიმის დაცვა, რათა არ განადგურდეს მღვიმეში არსებული და სრულიად შეუსწავლელი ნაღვენთი ფორმები. აგრეთვე, დასარეგულირებელია მიმდებარე ტერიტორიაზე ტყის მასივის შენარჩუნების საკითხი, რადგან მღვიმესთან ახლოს იჩეხება მრავალწლოვანი ხეები.

თსუ სპელეოლოგთა განცხადებით, უიშვიათესი ფორმის სტალაქტიტები ამ მღვიმისთვის ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველი გახდება.

## ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისკენ



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტი და თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი ატარებს ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლას „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ-8“. სკოლა გაიმართება 2015 წლის 15-25 ივნისს.

პირობებები: განაცხადის საფუძველზე სკოლაში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ მოსწავლეებს მე-7-დან მე-12 კლასის ჩათვლით. გასაუბრება ჩატარდება 2015 წ. 7 ივნისს 11:00 საათიდან 17:00 საათამდე თსუ მე-11 კორპუსში, 010 აუდიტორიაში, რომლის შედეგად შეირჩევა 4 ასაკობრივი (თითოეული 10-მდე მოსწავლისაგან შემდგარი) ჯგუფი. განაცხადების მიღება დაიწყება 13 მაისიდან-5 ივნისის ჩათვლით, აუცილებელია ონლაინ რეგისტრაცია, და ასევე სრულად შევსებული სააპლიკაციო ფორმა რომელიც მოგვაწოდეთ თსუ-ს მე-11 კორპუსში, აუდიტორია 350, 13:00 საათიდან -17:00 საათამდე (სამუშაო დღეებში).

მიზანი: ღონისძიების „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ მიზანია ინტენსიური პროგრამის საფუძველზე დაგეგმილ პერიოდში საინტერესო გახადოს მათემატიკური და მასთან მომიჯნავე დისციპლინები. ამასთანავე გათვალისწინებულია შერჩეულ მოსწავლეთა ჯგუფის გამოყოფა, რომლისთვისაც (2015 წ. ოქტომბერი-დეკემბერი პერიოდში) ჩატარდება ყოველკვირეული შეკრება, რომელიც გულისხმობს გამოყენებითი მათემატიკური მეცნიერებების სწავლებას და ცნობილ მეცნიერებთან შეხვედრის ორგანიზებას. ზემოაღნიშნულის განხორციელება ნავარაუდევია არამარტო საქართველოს, არამედ მეზობელი სახელმწიფოების მოსწავლეებისთვისაც. რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს შორის ადრეული ასაკიდან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

საკონსულტაციო კომიტეტი: პროფ. თამაზ ვაშაყმაძე, პროფ. გურამ გაბრიჩიძე, პროფ. ანზორ გველესიანი, პროფ. ომარ ფურთუხია, პროფ. ქეთევან ჭკუასელი, პროფ. ეთერ ღვინერია, დოქტ. მარინა ლომოური, ბ-ნი იუსუფ ფ. გიულვერი.

საკონტაქტო პირი და კოორდინატორი: ჟანა ბოლქვაძე (557 66 64 51). დამხმარე კოორდინატორი: ჟუჟუნა ცქიფურიშვილი (598 76 98 91).

ელ-ფოსტა: informtb@gmail.com

ვებგვერდი:

https://www.facebook.com/nabijebi

## „ნაწერები რჩება“ – თსუ-ში წიგნის მაღაზია SCRIPTA MANENT გაიხსნება




„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნის მაღაზია სიამოვნებით უმასპინძლებს ყველას, ვინც ნაწერებთან და ადამიანებთან მეგობრობს, ვისაც სჯერა, რომ ყველაზე საინტერესო წიგნები ჯერ არ წაუკითხავს და ვინც მზადაა, ჩვენთან ერთად იაროს უკვე დაწერილ და ჯერ დაუწერელ სიტყვებს შორის“ - ასეთი ტექსტით ეპატიჟება ყველა მსურველს ფეისბუკის გვერდიდან თსუ წიგნის მაღაზია SCRIPTA MANENT. მაღაზიის სახელი ლათინურიდან ასე ითარგმნება: „ნაწერები რჩება“. მაღაზია უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ივნისში გაიხსნება. დაინტერესებულ პირებს აქ საშუალება ექნებათ შეიძინონ თსუ გამომცემლობის წიგნები, რომლებშიც ბევრი საინტერესო რამის აღმოჩენა შეიძლება.

მაღაზიის კიდევ ერთი ფილიალის გახსნა კი უკვე მაღლივ კორპუსში, შემოდგომისთვის იგეგმება.

მაღაზიათა ქსელის ხელმძღვანელის, თათია მთვარელიძის განმარტებით, მაღაზია მთლიანად სტუდენტებზე იქნება ორიენტირებული. ეს, პირველ რიგში, სუტუდენტებისთვის კომფორტული და საინტერესო გარემოს შექმნას გულისხმობს, გარდა ამისა კი – მაქსიმალურად შეღავათიან ფასებს თსუ გამომცემლობის სხვადასხვა სახის წიგნებზე, სახელმძღვანელოებსა და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებზე. მაღაზიის ძირითადი პროდუქცია საწყის ეტაპზე სწორედ თსუ გამომცემლობის მიერ გამოცემული, ამ დროსითვის არსებული წიგნები იქნება. შემდგომ ეტაპზე კი, მაღაზიის ასორტიმენტს უნივერსიტეტის სიმბოლოკიანი სხვადასხვა სახის სუვენირებიც დაემატება.

მოეწყობა სპეციალური ფასდაკლებების დღეები როგორც თსუ, ისე სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის. კიდევ უფრო ექსკლუზიური ფასდაკლებები და შეღავათები წიგნის მაღაზიის მეგობართა კლუბის „სკრიპტორიუმის“ წევრებს ექნებათ. კლუბში გაწევრიანებას ყველა სასწავლებლის სტუდენტი შეძლებს, თსუ სტუდენტებისთვის კი გაწევრიანება უფასო იქნება. სკრიპტორიუმის წევრებისთვის სხვა აქტივობებთან ერთად, მოეწყობა სალონური შეხვედრები უკვე ცნობილ მწერლებსა და პუბლიცისტებთან, ასევე თსუ იმ სტუდენტებთან, რომელებმაც ლიტერატურულ ასპარეზზე დამკვიდრება გადაწყვიტეს და თავისი შემოქმედების საზოგადოებითვის გაცნობის სურვილი აქვთ.

სხვათა შორის, ამ სტუდენტებს თავისი ნაწარმოების დატოვება მაღაზიაში სპეციალურად განთავსებულ კიდობანში შეუძლიათ, რომელსაც თათია მთავრელიძემ უკვე სახელიც მოუფიქრა – „თესაურუსი“ (ბერძნ. „საგანძური“).

წიგნების მაღაზია უახლოეს მომავალში ელექტრონული ჟურნალის გამოცემასაც გეგმავს. მისი პირველი ნომერი „თესაურუსში“ შეგროვილი, იმ სტუდენტური ნაწერებით დაკომპლექტდება, რომელსაც კომპეტენტური სარედაქციო საბჭო შეარჩევს.

მაღაზიაში, რომელიც თავისი მუშაობის სტილით უფრო ლიტერატურულ კლუბს მიაგავს, სისტემატურად მოეწყობა გამომცემლობის ახალი წიგნების პრეზენტაციები. როგორც თათია მთავრელიძე იმედოვნებს, მომავალში, ნებისმიერ დაინტერესებულ მსურველს სპეციალურად შექმნილი ვებ-პორტალის მეშვეობით მისთვის სასურველი წიგნის ონლინ შეკვეთა და გამოწერაც შეეძლება.

აქედანვე ჩანს, რომ წიგნების მაღაზიაში მისვლა სტუდენტისთვის ნამდვილად სახალისო უნდა იყოს, ვინაიდან, როგორც მისი კოორდინატორი გეგმავს, აქ მომავალში ბევრი საინტერესო აქცია და ღონისძიება გაიმართება. ერთ-ერთი მათგანი „ცარიელი თაროების“ აქციაა. მსურველს შეუძლია მოიტანოს სასურველი წიგნი და თავისი შეხედულებისამებრ, დატოვოს იგი 20-ზე მეტი სექციიდან ნებისმიერში. ეს სექციები ცნობილი იტალიელი მწერლის, იტალო კალვინოს ჩამონათვალის მიხედვით არის დაყოფილი. რამდენიმე სექცია კი ასეთია: „წიგნები, რომლებსაც წლებია უშედეგოდ ეძებ“, „წიგნები იმ საკითხზე, რომელზედაც ახლა მუშაობ“, „წიგნები, რომელთა გადადებაც შეგიძლია ამ ზაფხულისთვის“, „წიგნები, რომელებიც დიდი ხნის წინ წაიკითხე და ახლა მათი ხელახლა წაკითხვის დროა“, „წიგნები, რომლებსაც აუცილებლად ითხოვებდი ვინმესგან“ და კიდევ ბევრი სხვა.

## კარიერული განვითარების ცენტრი თსუ-ში

*პირველი გვერდიდან*

ტრენინგებს ატარებს. ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია ტრენინგის გავლა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: თვითპრეზენტაციის უნარი, დამსაქმებელთან ინტერვიუ, CV-ის, სამოტივაციო წერილის დაწერა, ზოგადად სამუშაოს ძიების მექანიზმები და ა.შ. მოწესრიგებული სააპლიკაციო დოკუმენტაცია ის აუცილებელი პირობაა, რომლიც საწყის ეტაპზე დამსაქმებლის ყურადღებას მიიპყრობს.

სტანდარტული CV-ის დაწერა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მისი მოძიება დღეს ინტერნეტითაც არის შესაძლებელი, მაგრამ ბევრი ვერ ითვალისწინებს, რომ CV აუცილებლად უნდა მოერგოს კონკრეტული ვაკანსიის მოთხოვნებს. სტუდენტები ხშირად სათანადოდ ვერ აღიქვამენ სამოტივაციო წერილის მნიშვნელობას. დამსაქმებელი კი ხშირად სამოტივაციო წერილს ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სააპლიკაციო დოკუმენტებიდან, რადგან სამოტივაციო წერილიდან უფრო მეტი შეიძლება გაიგო ახალგაზრდაზე, ვიდრე რომელიმე სხვა სტანდარტული დოკუმენტიდან. მაგალითად, მასში ჩანს წერის, აზროვნების, არგუმენტაციის უნარი. სტუდენტებს შეუძლიათ, პირადადაც მოგვმართონ ცენტრში და ელექტრონულადაც: ხშირად გვეკითხებიან რჩევებს ელ. ფოსტის საშუალებით, გვიგზავნიან საკუთარ დოკუმენტებს რჩევისა და კომენტარებისთვის“, – განმარტავს ხათუნა ცხადაძე.

ცენტრს შექმნილი აქვს დამსაქმებელი კომპანიების მონაცემთა ბაზა და რეგულარული კავშირი აქვს მათ კადრების მენეჯერებთან. სწორედ ისინი აწვდიან ინფორმაციას არსებული ვაკანსიებისა თუ სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ.

„საქართველოში საჯარო სექტორი მსხვილი დამსაქმებელია, მაგრამ იქ არსებული რეგულაციების თანახმად სტუდენტის დასაქმება ადვილი არაა, რადგან ვაკანსიები ძირითადად სრულ განაკვეთზეა. გარდა ამისა, საჯარო სექტორში დასაქმება კონკურსის საფუძველზე ხდება. საჯარო სამსახურებთან ვთანამშრობლობთ სტაჟირების ხელშეწყობის მიმართულებით, სტაჟირებას კი ხშირად ებმის ახალგაზრდების დასაქმება. ცხადია, უფრო მოქნილია თანამშრომლობა კერძო სექტორთან. უფრო აქტიურია საბანკო – საფინანსო სფერო, სადაზღვევო კომპანიები. კარიერული განვითარების ცენტრი რეგულარულად ატარებს სტუდენტების შეხვედრებს პოტენციურ დამსაქმებლებთან. სხვადასხვა ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს ასევე ფეისბუკის, იმეილის, ზოგჯერ SMS-ის საშუალებით მიეწოდება.” – ამბობს ცენტრის ხელმძღვანელი.

ხათუნა ცხადაძე სამუშაოს მაძიებელთა კიდევ ერთ შეცდომაზე საუბრობს. „ალბათ ხშირად მოგისმენიათ ნაცნობებისგან, უკვე დიდი ხანია, ყველაგან ვაგზავნი მონაცემებს და აქამდე არავინ გამომხმაურებიაო. აქ რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი. პირველ რიგში ის, რომ, სამწუხაროდ, სამუშაო ადგილი ბევრი არ არის. ეს ყველამ ვიცით და ეს დასაქმების საიტების ზედაპირული ანალიზადანაც კი ჩანს: განთავსებული განცხადებების დიდი ნაწილი ტრენინგებსა და სხვადასხვა სახის სასწავლო კურსებს სთავაზობს ახალგაზრდებს. მოკლედ, სამუშაო ადგილები შეზღუდულია, რაც ნიშნავს, რომ კონკურენცია მართლა ძალიან დიდია. ამის გამო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ახალგაზრდამ სწორად, მიზნობრივად მოამზადოს აპლიკაცია. რამდენიმე ვაკანსიაზე კარგად მომზადებული აპლიკაციის გაგზავნა ბევრად უფრო ეფექტიანია, ვიდრე განურჩევლად ყველგან, მათ შორის სრულიად სხვადასხვა პროფილისა და მოთხოვნების ვაკანსიებზე, ერთი და იგივე CV-სა და სამოტივაციო წერილის გზავნა“, – აცხადებს იგი.

კარიერული განვითარების ცენტრის მომსახურებით თსუ-ს ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს.

ხათუნა ცხადაძის აზრით, კარიერიული განვითარების ცენტრის დამსაქმებლებთან ურთიერთობა უნივერსიტეტს სასწავლო პროგრამების განვითარებასა და სამომავლოდ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მათ უკეთ მორგებაშიც დაეხმარება.

“ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იქნება კონკრეტული, სისტემატური რეკომენადციების მიღება დამსაქმებლებისაგან. მაგალითად, იმის დაზუსტება, თუ რა პროფილის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რა ხარვეზები ჰქონდათ, რომლებმაც სტაჟირებისა თუ დასაქმების შემთხვევაში იჩინა თავი. ამ საკითხთან დაკავშირებით სასურველია უფრო კონკრეტული კომენტარები სტუდენტების მხრიდანაც, იმის განმარტება, თუ რატომ არის ესა თუ ის სავალდებულო საგანი მათთვის გამოუსადეგარი, რაში ხედავენ ნაკლოვანებას, ან პირიქით – რისი სწავლა სჭირდებათ უფრო მეტად. ამ ინფორმაციის მოკვლევა და ანალიზი აუცილებელია, რასაც მხოლოდ 2 ადამიანი ვერ გასწვდება. თუმცა, იმედია, ცენტრი გაიზრდება და უფრო აქტიურად ჩაატარებს ანალიტიკურ სამუშაოს, რაც ხელს შეუწყობს დამსაქმებლებისა და უნივერსიტეტის მეტად დაახლოებას და უფრო კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების ფორმირებას ჩვენს უნივერსიტეტში.” – აცხადებს ხათუნა ცხადაძე.

სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი აპირებს რეგულარულ თანამშრომლობას თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტებთან მათთვის ცენტრში სტაჟირებების შეთავაზებით. ეს თანამშრომლობა ორმხრივად სასარგებლო იქნება.

# აკადემიური აქტივობით უნივერსიტეტების რანჟირების რეიტინგის მიხედვით თსუ კავკასიის რეგიონის ლიდერია

*პირველი გვერდიდან*



URAP-ის რეიტინგებით თსუ-ს აკადემიური აქტივობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო 5 წლის მანძილზე. 2011-2012 წლებში თსუ 1600-ე, 2012-2013 წლებში – 1394-ე, ხოლო 2013-2014 წლებში – 1066-ე ადგილს იკავებდა. URAP როგორც კვლევითი ლაბორატორია 2009 წელს შეიქმნა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ინსტიტუტში. მისი მთავარი ამოცანა მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემის შექმნაა, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტების აკადემიურ აქტივობას სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხით და რაოდენობით. 2010 წლიდან URAP-ი ყოველწლიურად აქვეყნებს 2000 საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლის მსოფლიო რეიტინგს. URAP-ის 2014-2015 წლების მსოფლიო რეიტინგი ეფუძნება აკადემიური აქტივობის 6 ინდიკატორს, მათ შორის პუბლიკაციების ხარისხსა და რაოდენობას, ციტირების ინდექსს, ასევე საერთაშორისო კვლევით კოლაბორაციას.

შეგახსენებთ, რომ მანამდე www.webometrics.info-ს რანჟირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტების საუკეთესო 10%-ში შევიდა, კავკასიის რეგიონში კი პირველი ადგილი დაიკავა.

2015 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 23 887 უნივერსიტეტს შორის, თსუ 2006-ე ადგილზეა, ევროპის უნივერსიტეტების ჩამონათვალში (4000-მდე უნივერსიტეტი) 714-ე ადგილზე (საუკეთესო უნივერსიტეტების 20%-ში), კავკასიის რეგიონში და საქართველოში კი პირველ ადგილს იკავებს.

www.webometrics.info-ს რანჟირებით კავკასიის რეგიონიდან სომხეთის საუკეთესო უნივერსიტეტი მხოლოდ 2628-ე ადგილს, აზერბაიჯანის საუკეთესო უნივერსიტეტი კი 6405-ე ადგილს იკავებს.

მსოფლიო უნივერსიტეტების ვებრანჟირება ევროპაში ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ესპანური ორგანიზაცია Consejo Superior de Investigaciones Cientificas (CSIS)-ის ლაბორატორიის Cybernetrics Lab ინიციატივით ხორციელდება. ორგანიზაცია ესპანეთის მასშტაბით 126 ცენტრს და ინსტიტუტს აერთიანებს. უნივერსიტეტების რაჟირებისას ორგანიზაცია ითვალისწინებს სხვა ვებგვერდებიდან მინიშნების მაჩვენებელს (Google, Yahoo, Live Search, Exalead), უნივერსიტეტის ვებგვერდის შიგა გვერდების რაოდენობას, მასზე სრულყოფილი ტექსტების რაოდენობას, ვებგვერდზე განთავსებული სამეცნიერო სტატიების და მათი ციტირების რაოდენობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რანჟირებისას, ტექნიკური თვალსაზრისით არ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების – ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) და მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვებგვერდებზე არსებული მაჩვენებლები. ISET-ისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მონაცემები, შეცდომით, ცალკეა დათვლილი და რანჟირებული. ამ ხარვეზის გასწორების შემდეგ თსუ-ს მაჩვენებელი გაცილებით გაუმჯობესდება. კვლევაში საქართველოს 64 უნივერსიტეტია ჩართული.

# „ჩვენი მომავლის ისტორია: ჩვენი საფრთხეები, ჩვენი იმედები, ჩვენი ცხოვრება“ – ესე, რომელშიც თსუ სტუდენტმა გაიმარჯვა

*პირველი გვერდიდან*




ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოცხადებულ კონკურსში საქართველოდან მონაწილეობდნენ თსუ და თავისუფალი უნივერსიტეტის, სომხეთიდან ამერიკული უნივერსიტეტის (American University of Armenia), ხოლო აზერბაიჯანიდან ადას უნივერსიტეტი (ADA University). სტუდენტები. თუმცა საუკეთესო შეფასება თსუ-ს სტუდენტის ნამუშავერმა დაიმსახურა.

„როცა ფიქრობ შენი ცხოვრების გასავლელ გზაზე, რომელიც შენი პიროვნების განვითარებაზე, თვითაქტუალიზაციაზე, რაღაც ზოგადად ადამიანურზე და სასარგებლოზე გინდა, იყოს მიმართული, ძნელია იმისთვის თვალის გასწორება, რომ ამ მთავარ გზამდე მისასვლელად უნდა გაიარო ბნელი ჩიხები, რომელსაც შენს ირგვლივ ქმნიან, ან იქნებ სულაც ხომ შეიძლება, ამ ჩიხებში დარჩე?!

ბნელ ჩიხებს ქმნის ხალხი, მითოსიდან. ხალხი, რომელიც შეიძლება არც არსებობდა ისე, როგორიც ის ჩვენ წარმოგვიდგენია, მაგრამ აქვს ძალა, რაც ქმნის უხილავ ფარდას რეალობასა და წარმოსახულს, გამონაგონსა და არსებულს შორის,“ - წერს თსუ სტუდენტი თავის ესეში, სადაც ცდილობს გააშიშვლოს ის „ბნელი ჩიხები“, რომელშიც დღეს ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები არიან დარჩენილი.

„კონკურსში სრულიად შემთხვევით მივიღე მონაწილეობა. ერთ საღამოს sms tsu-ს ვამოწმებდი, უნივერსიტეტიდან შეტყობინება მომივიდა კონკურსის შესახებ. იმ წამსვე დავიწყე წერა, არც მიფიქრია რას დავწერდი. უფრო სწორად, ეს ის თემებია, რომელზეც ყოველთვის ფიქრობ, სათქმელიც ბევრია. ამიტომ წინასწარ არ მოვმზადებულვარ, რამდენიმე წუთში დავწერე და გავაგზავნე. ჩემი დამოკიდებულებები შეიძლება მტკივნეულია, კრიტიკის გამო, მაგრამ ადეკვატური და საინტერესოა სხვებისთვის. ძალიან სასიამოვნო იყო კონკურსის მინდინარეობის პროცესი. განსაკუთრებით აზარბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებთან შეხვედრა. მივხვდი, რამდენად ახლოსაა ჩვენი პრობლემები ერთმანეთთან, რამდენად საჭიროა ამ ქვეყნების დაახლოება და მხარდაჭერა“, – გვითხრა ლილე ყაზაიშვილმა, რომელმაც ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, დაუფიქრებლად გადაწყვიტა სწავლა თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაეგრძელებინა, რადგან, მისი აზრით, საქართველოს პირობებში, ამ ფაკულტეტზე თსუ-ს არ ჰყავს კონკურენტი.

„ჩემს ფაკულტეტზე თავს იყრიან სტუდენტები, რომლებსაც აქვთ რეფლექსიისა და კრიტიკულად გააზრების უნარი. ამიტომ ხშირად ილუზია მექმნება, რომ ყველგან ასეა, რომ ეს თაობის ზოგადი ტენდენციაა. თუმცა, საკმარისია გახვიდე თბილისის გარეთ, იქ ისევ შენარჩუნებულია ის შოვინიზმი, ნაციონალიზმი და აბსოლუტურად უკრიტიკო დამოკიდებულება, რაც ხელს უშლის განვითარების პროცესს. უკეთესი საზოგადოებისთვის საჭიროა პროგრესული ნათელი იდეების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება. ახალგაზრდა თაობა კი ისაა, რასაც ქვეყნის მომავალი ეფუძნება. ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,“ – ამბობს კონკურსში გამარჯვებული სტუდენტი.

„ამბობენ, სიბნელე არ არსებობს, სიბნელე სინათლის არარსებობააო. იქნებ აქაც ასეა?! იქნებ ჩვენ არ ვანათებთ საკმარისად?!

მინდა ქვეყანა, სადაც მეტი სინათლე იქნება, სადაც თითოეულ ჩვენგანში ანთებული

ჩირაღდანი გაანათებს მთავარ გზას. გაანათებს იმდენად, რომ სიბნელე გაქრება.

სიბნელე არ გაქრება მასთან ბნელეთში ბრძოლით. სიბნელე მხოლოდ სინათლით გაქრება, უბრალო სინათლით, მთავარია თითოეულ ჩვენგანში ანთებული სანთელი შევკრათ ერთად, დავდგეთ ერთად...

და მერე?

მერე არ ვიცი, რას აკეთებს ნეტა რიგითი ამერიკელი, ფრანგი ან ინგლისელი?!

მათ, ალბათ, დრო უნდა რჩებოდეთ ერთმანეთზე ზრუნვისთვის, ქიმერებთან ბრძოლის ნაცვლად.

იქნებ მერე მაინც დავინახოთ ერთმანეთში ადამიანები. დავუძახოთ ერთმანეთს სახელები, გიორგი... მარი....თამარ.... ანა... პიდარასტოს, იაღოველოს, ბოზოს, ზანგოს, ნაცოს და ქოცოს ნაცვლად.

იქნებ მერე არ შეგვეშინდეს ჩვენი აზრების...! იქნებ მერე ვენდოთ ერთმანეთს...!

იქნებ მერე არ შეგვრცხვეს ჩვენი იდენტობის...! იქნებ მერე გავუღიმოთ ერთმანეთს...!“ – ესაა მეოთხე კურსის ოცნება, რომელიც ესეში აღწერა. თავად, თსუ-ს დასრულების შემდეგ, სწავლის გაგრძელებას მაგისტატურაში გეგმავს, თუ გაუმართლებს – დოქტორანტურაშიც. უნდა, რომ პრაქტიკოსი ფსიქოლოგი იყოს და დაეხმაროს ადამიანებს ბედნიერებისა და კმაყოფილების შეგრძნების მიღწევაში – „მჯერა, რომ ეს საუკეთესოა, რაც ქართული საზოგაგოებისთვის შემიძლია გავაკეთო და, რაც მთავარია, ესაა ნამდვილად პროდუქტიული გზა, რადგან საზოგადოების განვითარებისკენ გზა ინდივიდებზე გადის და არა მასებზე“.

# ნიკო მარის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩოხატაურში

1 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე, თსუ ჰუმანირატულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე, თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი, თსუ პროფესორი, აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბიძე და თსუ ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი ჩოხატაურში იმყოფებოდნენ, სადაც ჩოხატაურის სამუზეუმო გაერთიანების მიერ გამართულ ნიკო მარის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. თსუ წარმომადგენლებს ნიკო მარის შთამომავლებმა და ჩოხატაურის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებმა უმასპინძლეს. ისინი იმყოფებოდნენ ნიკო მარის სახლ-მუზეუმში. თსუ რექტორმა და თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მუზეუმს საჩუქრად გადასცეს ნიკო მარის ფოტოების ასლები, რომელთა ორიგინალებიც უნივერსიტეტის არქივში ინახება. ასევე რექტორის ინიციატივით ზაფხულში იგეგმება თსუ პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ექსპედიცია ნიკო მარის სახლ-მუზეუმში, სადაც ისინი იმუშავებენ მეცნიერის ხელნაწერების აღწერაზე, მათ დიგიტალიზაციასა და ელექტრონიზაციაზე, რათა ფართო საზოგადოებისთვის ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი იყოს. სტუმრებმა მასპინძლებთან ერთად მოინახულეს ერკეთის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის დედათა მონასტერი და ერისთავების სასახლე. სამუზეუმო გაერთიანების მიერ განხორციელებული პროექტის „სხივი წარსულისას“ ფარგლებში გაიმართა ღონისძიება ჩოხატაურის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩოხატაურის სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომელი თამთა ჯანხოთელი. მოსწავლეებმა გაიხსენეს ცნობები ნიკო მარის ბიოგრაფიიდან და მისი სამეცნიერო მოღვაწეობიდან. ამავე ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა და უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლები. მათ ისაუბრეს ნიკო მარზე, როგორც დიდ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეზე. თსუ უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ ჩოხატაურის პირველ საჯარო სკოლას საჩუქრად უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნები გადასცა, ხოლო ღონისძიების ორგანიზატორსა და მონაწილეებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.



# სიახლეები

* * *

14 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ნიკოლაე დურას თსუ საპატიო დოქტორის წოდებას მიენიჭა. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების საზეიმო ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, თსუ პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ. თეოლოგიის დოქტორი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის (რუმინეთი) სამი მონოთეისტური რელიგიის: ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი-კვლევისა და შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელი ნიკოლაე დურა რუმინული აკადემიური სივრცის გამოჩენილი მკვლევარია.

* * *

14 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით ამერიკისმცოდნეობის მეთექვსმეტე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. კონფერენცია ამერიკის სამოქალაქო ომის დასრულების 150-ე წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიებას დაესწრო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი, ამერიკელი დიპლომატები, პროფესორები, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები და სტუდენტები დაესწრნენ.

* * *

13 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბატონი ლევენთ გურმუქჩუს საჯარო ლექცია გაიმართა. ღონისძიება “საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის“ მიერ იყო ორგანიზებული.

* * *

7 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გამოყენებითი ეკოლოგია: პრობლემები, სიახლეები“ (ICAE-2015) გაიმართა. ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი რამაზ ბოჭორიშვილი, უნივერსიტეტის პროფესორები, უცხოელი და ადგილობრივი მეცნიერები დაესწრნენ.

# ვიქტორინა 2014-2015 წლები

16 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტმა ვიქტორინა 2014-2015 წლების ფინალური ტურის გამარჯვებულები გამოავლინა. პირველ ადგილზე გავიდა ქუთაისის 29-ე საჯარო სკოლის გუნდი "ევრიკა"; მეორეზე – თბილისის ბრიტანულ-ქართული აკადემია "ნატურალისტები" და მესამეზე – თბილისის დემირელის სახელობის სკოლის გუნდი "სიგმა". ვიქტორინა ჩატარდა X-XII კლასის მოსწავლეთათვის. ფინალურ ტურში მონაწილეობდა ნახევარფინალურ ეტაპზე გამარჯვებული საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების 9 გუნდი – 4 გუნდი თბილისიდან და ასევე გუნდები ჭიათრიდან, ქუთაისიდან, გორი, სურამი, რუსთავი. თითოეულ გუნდში 5 მოსწავლეა. გუნდებს მიეცათ 18 შეკითხვა: 3-3 შეკითხვა საგნებიდან: მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ქიმია; ხოლო 3 შეკითხვა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების შესახებ. ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატები და სამახსოვრო სუვენირები.



*ვიქტორინაში გამარჯვებული გუნდი „ევრიკა“ ქუთაისიდან*

# სტუდენტთა ესეების კონკურსის გამარჯვებულები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ სტუდენტთა ესეების კონკურსში, თემაზე: „განათლების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საქართველოში – ძირითადი გამოწვევები და მათი მოგვარების გზები“ საკონკურსო კომისიამ ხუთი საუკეთესო ნაშრომი გამოავლინა:

*I ადგილზე გასული ესეს ავტორი:*
***გოგა ხატიაშვილი*** – იურიდიული ფაკულტეტი;
*II ადგილზე გასული ორი ნაშრომის ავტორები:*
***თორნიკე ბაქაქური*** – ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიის მიმართულება
***დარეჯან გოგაშვილი*** – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები,
*III ადგილზე გასული ორი ნაშრომის ავტორები:*
***ანა ჯანიკაშვილი*** – ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიის მიმართულება
***ლონდა ჭანტურიძე*** – მედიცინის ფაკულტეტი, სამკურნალო საქმე.

# სტუდენტური შემეცნებითი პროექტი „თაობა L” – მათთვის, ვისაც წიგნების კითხვა უყვართ

*პირველი გვერდიდან*



ვეწონებოდა. შარშან გამიმართლა და პროექტისთვის შერჩეული ათი წიგნიდან ნახევარი ჩემთვის განსაკუთრებით საყვარელი იყო. წლევანდელ სეზონში პირველი 5 ტურის წიგნებიდან გამოვყოფდი “მექანიკურ ფორთოხალს“ - უფრო მრავალფეროვანი კითხვების ამორჩევა იყო შესაძლებელი.

კონკურსისთვის კითხვის პროცესი საინტერესო და აზარტულია - სრულიად სხვა დეტალებს მიაქცევთ ყურადღებას. „თაობა L“-ში უნდა ჩაერთოს ყველა წიგნებზე შეყვარებული სტუდენტი იკითხოს უფრო მეტი, ვიდრე კითხულობს დღეს“, - აღნიშნავს ანანო.

ინგა ანთიძე უკვე მეორე წელია მონაწილეობას იღებს კონკურსში. უკვე თავის დაკვირვებებს და რჩევებს გვიზიარებს:

„მსგავსი პროექტი ამ დრომდე მგონი არც არავის მოსვლია აზრად და მეც, როგორც წიგნების დიდი მოყვარული, ვერ გამოვტოვებდი. თუმცა შარშან ამ პროექტის დამთავრების შემდეგ, საკმაოდ მავნე ჩვევა დამჩემდა და, დღემდე, წიგნებს რომ ვკითხულობ, ისეთ ელემენტარულ დეტალებს ვაქცევ ყურადღებას და ვიმახსოვრებ, რომლებიც შესაძლოა თავად წიგნის ავტორსაც აღარ ახსოვდეს. გასულ წელს, უნდა ვაღიარო, არც თუ ისე დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი ამ პროექტს, რომელ დღესაც ტესტი უნდა გვეწერა, იმ დილით ვიწყებდი კითხვას და ძლივს ვასწრებდი. წელს გაცილებით უფრო მობილიზებული და მეტი შემართებით ვარ.

ტურის ლიდერის გამოვლენის ინიციატივა ძალიან მომწონს. გარდა იმისა, რომ მონაწილეებს მოტივაციას ორმაგად უმაღლებს, სამართლიანია იმ მხრივაც, რომ ფინალამდე საკუთარი შესაძლებლობების გამოჩენის საშუალება თითოეულ ჩვენგანს აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის გამარჯვებული მხოლოდ ერთი ადამიანი იქნება, ამ ინიციატივის შედეგად დანარჩენ მონაწილეებს არ გაუჩნდებათ უკმაყოფილების შეგრძნება, რომ მათი შრომა არ დაფასდა. ყველას თანაბარი შანსი გვაქვს, ყოველი ტურის შემდეგ ძალიან კარგი წიგნები და „პალიტრა L“-ის და თსუს საჩუქრები წავიღოთ სახლში.

ჯერ მხოლოდ ოთხმა ტურმა ჩაიარა და ამ ოთხიდან ყველაზე მეტად მაინც ბერჯესის „მექანიკური ფორთოხალი“ მომწონს. ისეთი წიგნია, მალე რომ გინდა მიხვიდე დასასრულამდე, მაგრამ თან არ გინდა, რომ დამთავრდეს. გარდა იმისა, რომ სიუჟეტია ძალიან ორიგინალური, განსაკუთრებით ის მომწონს, რომ პერსონაჟის განვითარების ყველა ეტაპს ვხედავთ. ჩემთვის იდეალური და ცალსახად სიკეთისკენ თუ ბოროტებისკენ მიდრეკილი პერსონაჟები უინტერესოა. ვერ იტყვი, რომ ალექსი მაინცდამაინც უარყოფითი ან მითუმეტეს დადებითი პერსონაჟია. ის უბრალოდ მოზარდია, რომელმაც იცხოვრა, შეცდომები დაუშვა, წაიქცა და შემდეგ წამოდგა. არის მომენტები, როცა გეზიზღება მისი საქციელი, მაგრამ ხვდები სიტუაციებსაც, როცა შენსავით აზროვნებს.

ტესტების სირთულეს რაც შეეხება, მიუხედავად იმისა, რომ ყველანი ერთ წიგნს ვკითხულობთ, თანაბრად რთული ან ადვილი ეს წიგნი არავისთვის არის. ორი ადამიანიც კი ერთ წიგნს ერთნაირად არასდროს კითხულობს, ყველა სხვადასხვა რაღაცებს დაიჭერს და დაიმახსოვრებს, ჩვენს შემთხვევაშიც ასეა. საერთო ჯამში, რთულს ნამდვილად არ ვუწოდებდი, თუმცა არც იმდენად ადვილია, რომ დაუფიქრებლად დაწერო ყველა კითხვაზე პასუხი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ორგანიზატორებს ოქროს შუალედი აქვთ დაჭერილი.

ონლაინ-ვიქტორინის იდეა ძალიან მომწონს ისევ და ისევ იმიტომ, რომ ყველას თანაბრად აძლევს შესაძლებლობას დამატებითი 2 ქულა მოიპოვოს კონკურსში. განსაკუთრებით წამახალისებელია მათთვის, ვინც ტესტი არც თუ ისე კარგად წერა.

„თაობა L”-მდე ძალიან ბევრ პროექტში მაქვს მონაწილეობა მიღებული, მაგრამ დაუფიქრებლად შემიძლია გითხრათ, რომ ეს პროექტი ჩემი ფავორიტია. ერთადერთი, რასაც დავამატებდი, კარგი იქნებოდა წიგნების წაკითხვის შემდეგ მონაწილეებს მსჯელობის და აზრების გაცვლა-გამოცვლის საშუალებაც რომ მოგვეცეს წაკითხულის შესახებ“.

ფეისბუკიდან შეიტყო კონკურსის კიდევ ერთმა მონაწილემ გიორგი ბუხრიკიძემ ამ შესაძლებლობის შესახებ:

„პროექტის შესახებ ფეისბუკ გვერდით შევიტყვე და მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება, პირველ რიგში იმიტომ, რომ კითხვა ძალიან მიყვარს და ერთი თვის განმავლობაში მომიწევდა საყვარელი საქმის კეთება და პრიზიც კარგი მოტივატორი აღმოჩნდა, რადგან ბევრი წიგნი დამიგროვდა უკვე, რომლის შეძენაც მინდა და უბრალოდ თანხა არ მყოფნის. მოგების შემთხვევაში კი ამ სურვილს ავისრულებ.

ტურის ლიდერის გამოვლენის იდეა საკმაოდ კარგი ჩანაფიქრია, რადგანაც, პირადად ჩემთვის, მთავარი არა მხოლოდ საბოლოო გამარჯვებაა, არამედ ის პრიზებიც, რომლებიც ტურის ლიდერს ერგება. შესაბამისად, ვცდილობ ყოველ ტურში მაქსიმალური გავაკეთო. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ტურის ლიდერობა დამატებითი მოტივაციაა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ შერჩეული ოთხი წიგნიდან თითოეული საკმაოდ საინტერესო იყო და ოთხივეთი ძალიან ვისიამოვნე, მაგრამ „მაკულატურა“ და „მექანიკური ფორთოხალი“ მაინც უნდა გამოვყო. „მაკულატურა“ იმიტომ, რომ ერთი ამოსუნთქვით იკითხება და დიდი ხანია წიგნზე ასე კარგად არ მიხალისია, საინტერესოც იყო და გასართობიც.“ მექანიკური ფორთოხალი“ იმიტომ, რომ პირველ რიგში, წაკითხული არ მქონდა, მაგრამ უკვე დიდი ხანია ვაპირებდი და გამიხარდა, რომ საკონკურსოდ შემოიტანეს და, რაღა თქმა უნდა, იმიტომ, რომ იმ მთავარმა იდეამ, თავისუფალი არჩევანის შესახებ, რაც წიგნის მთავარი სათქმელია, დამაფიქრა და გარკვეულ საკითხებზე განსხვავებული შეხედულებები შემიქმნა.

ტესტებზე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ საკმაოდ კარგადაა შედგენილი, სათანადო სირთულისაა და მთელ მასალას მოიცავს. საინტერესოა, აზარტულია და ათიანზეა შესრულებული. ასე რომ, არაფერსაც არ დავამატებდი.

უნიკალური პროექტია, კარგი ჩანაფიქრით, ორგანიზებით და მაღალი მოტივაციით. ჩემი რჩევა იქნება, რომ უფრო მასშტაბური გახადონ და სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებსაც მისცენ მონაწილეობის უფლება, რადგანაც პროექტის დაწყებამდე ნათლად გამოჩნდა, რომ მსურველი ჩვენი უნივერსიტეტის გარეთაც საკმაოდ ბევრია“, - ამბობს გიორგი.

წიგნის მოყვარულთა ამ კონკურსის დასრულება 2015 წლის ივნისისთვის იგეგმება.

# „შემოდგომის ლეგენდა 2014“-ის წიგნის პრეზენტაცია

*პირველი გვერდიდან*

სელის“ ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანიც ნიჭიერი თაობის აღმოჩენა და მათთვის გზის გაკვალვაა. ილუსტრირებული წიგნი 10 ფინალისტის და ონლაინ მარათონის გამარჯვებულის მიერ კონკურსის იმპროვიზაციულ ტურზე შექმნილ ნაშრომებს და ავტობიოგრაფიებს მოიცავს. წიგნი დაჯილდოებაზე მოსულ ყველა სტუმარს საჩუქრად გადაეცა. ღონისძიებას საქართველოს პირველი ლედი მაკა ჩიჩუა დაესწრო. პირველი ლედი „შემოდგომის ლეგენდის“ ფარგლებში დაგეგმილ კიდევ ერთ პროექტში ჩაერთო, რომელსაც ორგანიზატორები გამომცემლობა „ინტელექტის“ მხარდაჭერით განახორციელებენ. თსუ სტუდენტის, „შემოდგომის ლეგენდის“ 2014 წლის ფინალისტის ანი ლაზვიაშვილის წიგნის ილუსტრაციების ავტორი პირველი ლედი მაკა ჩიჩუა იქნება. 2014 წელს კონკურსის იმპროვიზაციული ტური კახეთში, იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე გაიმართა. კონკურსანტებმა ჟიურის მიერ მიწოდებულ თემაზე - „ჩემოდანი და მასში ჩალაგებული 5 ნივთი“, თორმეტი საათის განმავლობაში ახალი ნაშრომები შექმნეს.





გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge